

ଓରେଣ୍ଡାଙ୍ଗ



მერი პოპინსი ალუბლების ქუჩაზე

მერი პოპინსი და სახლი მეზობლად



## 3. ლ. ცისავერსი

მერი პოპლნბი  
ალექსანდრე ქუჩავა



მერი პოპლნბი და სახლი  
მეზოდლად



პ. ლ. ტრევერსი  
მერი არაინსი ალუბლების ძაჩაზე  
მერი არაინსი და სახლი მეზობლად

P. L. Travers  
MARY POPPINS IN CHERRY TREE LANE  
MARY POPPINS AND THE HOUSE NEXT DOOR

ინგლისურიდან თარგმნა ია კოროშინაძემ

ილუსტრატორი მერი შეპარდი

© P. L. Travers 1982, 1988  
Illustrations © Mary Shepard 1982, 1988  
All rights reserved.

წიგნი გამოიცა გამომცემლობა „პალიტრა L-თან“ თანამშრომლობით.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2021

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-697-1


[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

მერი პოპინსი ალუბლების ქუჩაზე	9
მერი პოპინსი და სახლი მეზობლად	103



მერი პოვლნებ  
ალექსანდრე ჭუჩავე





**Յ**ոթաც და ზაფხულის ნაბუნიობის ღამე დადგებოდა – ნელინადის ყველაზე ჯადოსნური ღამე, როცა უც-ნაურზე უცნაური ამბები ხდება ხოლმე. თუმცა ჯერ ისევ საღამო იყო. ბრდღვიალა მზე ჩასვლას აჭიანურებდა და ისე ზანტად და უხალისოდ მიცურავდა დასავლეთისკენ, ეტყობოდა, სამყარო არ ეთმობოდა.

მზე გრძნობდა, რომ მის სხივებში გახვეული ქვეყ-ნიერება დიდებული სანახავი იყო და ეს დიდხანს უნდა გაგრძელებულიყო. საკუთარი ანარეკლი ყოველი კუთ-ხე-კუნჭულიდან შესციცინებდა: ტბებიდან, ფანჯრის მი-ნებიდან და მწიფობაში შესული იმ ალუბლებიდანაც კი, ქუჩის პირას ჩამნკრივებულ ხეებს რომ ამშვენებდა. მზე ალუბლების ქუჩას კარგად იცნობდა.

ჩემს ბრნყინვალებას მაინც ვერაფერი შეედრებაო, – თავი დაიმშვიდა მზემ, როდესაც ადმირალის ჭიშკარზე მიმაგრებული გემის მოციმციმე ფარნები შენიშნა, მის ლარკის სახლის კარზე – ელვარე თითბრის დასაკუუნებელი ჩაქუჩი, ხოლო ქუჩის ყველაზე პაწაწინა სახლის ბაღში – თუნუქის ძველისძველი სათამაშოს ათინათი. ის ამ ბაღსაც შესანიშნავად იცნობდა.

„სულიერის ჭაჭანება არ არის“, – გაიფიქრა მან და გრძელ სხივთა კონა ჯერ ქუჩის თავზე გაჭიმა, შემდეგ კი მწვანედ მობიბინე, ყვავილებით გადაპენტილ მდელოზე დაუშვა. ამ ადგილსაც კარგად იცნობდა! მეტიც, ამ მშვენიერების შექმნაში სწორედ მისი ხელი ერია! რა ბედი ეწეოდა ბალახს, ხეებსა და ყვავილებს მისი მაცოცხლებელი სხივების გარეშე? ვინ აამწვანებდა ბალახს, გაშიშვლებულ ტოტზე ფოთოლს ვინ გამოიყვანდა და კვირტს ვინ გადაფურჩქინდა?

და აი, შუქ-ჩრდილში ვიღაც გამოჩნდა.

– ნეტავ ვინ არის პარკში? – დაინტერესდა მზე. უცნაური არსება სტვენა-სტვენით დადიოდა და დროდადრო ყვიროდა.

პარკის დარაჯის გარდა სხვავინ იქნებოდა?! რაღა თქმა უნდა, სწორედ ის ბრძანდებოდა. მზემ კი მხოლოდ იმიტომ ვერ იცნო, რომ ივნისის პაპანაქებაში მას შავი ფეტრის ქუდი ეხურა – მეზღვაურის ქუდი, რომელზეც თავის ქალა და გადაჯვარედინებული ძვლები იყო გამოსახული.



– წესები დაიცავით! გაიხსენეთ, რა წერია წესდებაში!  
ნაგავი ურნებში უნდა ჩაყაროთ! – ღრიალებდა იგი.

დარაჯს ყურადღებას არავინ აქცევდა. ხელიხელჩაკი-  
დებული მოსეირნეები გზადაგზა ნაგავს ყრიდნენ და გა-  
ზონებზე დააბოტებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ აპრაზე  
ეწერა: ბალახზე ნუ გადახვალთ! წესების დაცვა ყველას  
დავიწყებოდა. აღარც პარკის წესდება ახსოვდა ვინმეს.

პოლისმენი ხელკეტის ქნევით დადიოდა პარკში. ისეთი  
მედიდური გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ცა და დე-  
დამინა მას ეკუთვნოდა, სამყარო კი ამით ფრიად კმაყო-  
ფილი უნდა ყოფილიყო.

ბავშვები საქანელებზე ქანაობდნენ – ზემოდან ისე  
დაეშვებოდნენ ხოლმე, მერცხლებმა რომ იციან საღამო-  
ხანს.

აი, მერცხლები კი იმდენად ყურისნამღებად ჭიკჭიკებ-  
დნენ, რომ პარკის დარაჯის სასტვენის ხმა არავის ესმოდა.

ადმირალი და მისიზ ბუმი სუფთა ჰაერზე სეირნობ-  
დნენ, მიწის თხილს ერთი ტომსიკიდან მიირთმევდნენ და  
ნაჭუჭებს ძირს ყრიდნენ.

„დავეხეტები საღამოს ბინდში,  
ჩემს გულის სწორთან ერთად!“

წაიმღერა ადმირალმა და არად ჩააგდო გაფრთხილება,  
მოვაჭრეები და მუსიკოსები პარკში არ დაიშვებიანო.

ვარდების ბალჩაში მაღალი კაცი, პატარა, მეტად შეუფერებელი კრიკეტის კეპით, შადრევანში ცხვირსახოცს ასველებდა და მზემოკიდებულ შუბლს იგრილებდა.

ქვემოთ, ტბის პირას ხანში შესული კაცი გაზეთის ქუდიან თავს აქნევდა და ჰაერს მეძებარი ძალლივით ყნოსავდა.

— კუ-კუუ, პროფესორო! — გასძახა მის ლარკმა და გაზონი სწრაფად გადაკვეთა. ძალლები ისე უხალისოდ მის-დევდნენ, თითქოს იქ ყოფნა სულ არ ეპიტნავებოდათ.

მის ლარკს კი, ზაფხულის ნაბუნიობის დამის ალსანიშნავად, ორივესთვის თავზე ბაფთა შეება: ვილაბის ვარდისფერი ბაფთა ეკეთა, ენდრიუს – ცისფერი. ძალლები დარცხვენილები და დარდიანები ჩანდნენ.

„რას იტყვის ხალხი? – ფიქრობდნენ ისინი, – იქნებ პუდელებიც კი ვეგონოთ!“

— გელოდებოდით, პროფესორო... ალბათ გზა აგებნათ.

— გზების შემთხვევაში სულ ასეა: ან გზას კარგავ, ან თვითონ იკარგები. მთავარია, რომ მიპოვეთ. მაგრამ ვაი, რომ... – პროფესორმა ქუდი მარაოსავით გააქნია, – საპარის უდაბნო მეტისმეტად.. ე-ჰმ... ცხელი მეჩვენება.

— საპარაში კი არა, პარკში ბრძანდებით. აღარ გახსოვთ? მე კი ვახშამზე დაგპატიჟეთ.

— აჲ, როგორ არა... მარწყვების ქუჩაზე! იმედი მაქვს, იქ უფრო გრილად ვიქნებით თქვენც, მეც და თქვენი... ე-ჰმ... ორი პუდელიც.

ენდრიუმ და ვილაბიმ თავები ჩაჰატეს. მათი ყველაზე საშინელი ეჭვი გამართლდა!

— არა, არა. ალუბლების ქუჩაზე გეპატიუებით. მე კი ლუსინდა ლარკი ვარ. ნუ ხართ ასეთი გულმავიწყი. აი, სად ყოფილხართ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო! — მის ლარკმა ადმირალ ბუმსა და მის ცოლს მოჰკრა თვალი. — საით გაგიწევიათ ამ შესანიშნავ საღამოს?

— გავცუროთ, ავუშვათ აფრა, გავცდეთ სამყაროს საზღვარს! — წაიმლერა ადმირალმა. — მრავალ ქარიშხალს ნახავს, ჯეკი დაბრუნდება სანამ... ხომ ასეა, მეგობარო? — ჰკითხა ცოლს.

— დიახ, ძვირფასო, — უპასუხა მისიზ ბუმმა, — მაგრამ იქნებ ხვალამდე მოგეცადა. ჩვენი მზარეული ხორციან ღვეზელს აცხობს, დესერტად კი ვაშლის ნამცხვარი გვექნება.

— ღვეზელზე უარს ვერ ვიტყვი. მიჩმანო, ღუზა ჩაუშვით. დილის მოქცევას დაველოდებით!

— კარგი, ძვირფასო! — უთხრა მისიზ ბუმმა, რომელმაც შესანიშნავად იცოდა, რომ დილით არც მოქცევა იქნებოდა და ვერც ადმირალი გავიდოდა ზღვაში, მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით ნაოსნობაზე საუბრობდა. შორეულ ნაოსნობაში მას მუდამ ზღვის ავადმყოფობა სტანჯავდა.

— წესები დაიცავით! წესდებას დაემორჩილეთ! — სტვენით ჩაუქროლა მათ პარკის დარაჯგმა.

– ჰეი, მანდ, გემზე! ბებერო მეზღვაურო, გემი გააჩერე!  
– შესძახა ადმირალმა და პარკის დარაჯს ხელი სახელოში  
ჩაავლო. – ჩემი ქუდი გახურავთ, კაპიტანო. მე ის მადა-  
გას კარის სანაპიროსთან გამართულ ხელჩართულ ბრძო-  
ლაში მოვიპოვე. ხომ ასეა, მეგობარო? – ჰეითხა ცოლს.

– როგორც შენ იტყვი, ძვირფასო, – წაიბუტბუტა მი-  
სიზ ბუმბა. სჯობდა, ადმირალს ამჯერადაც უსიტყვოდ  
დათანხმებოდა. ქალმა კარგად იცოდა, რომ ეს ქუდი მათ  
მზარეულს ეკუთვნოდა, სწორედ იმ ყოფილ მეკობრეს,  
რომელიც ახლა მათთან მსახურობდა და გემის ფორმის  
მქონე სახლისთვის გემის იერსახის შენარჩუნებაზე ზრუ-  
ნავდა. მისიზ ბუმსა და მის ქმარს კი მადაგასკარი თვალი-  
თაც არ ენახათ.

– მეგონა, ჩემი თავის ქალა და გადაჯვარედინებული  
ძვლები დავკარგე-მეთქი! ზღვის გველის ნაშიერო, სად  
იპოვე ქუდი?

– როგორ გითხრათ, თითქოს ციდან დამეცა თავზე, –  
შეიშმუშნა პარკის დარაჯი. – ისე გამოვიდა, რომ შეცდო-  
მით დავიხურე. ცუდი განზრახვა არ მქონია, ადმირალო!

– წარმოუდგენელი ამბავია! ალბათ გგონიათ, ზარ-  
ბაზნის ყუმბარებზე გელაპარაკებით. მეკობრის ქუდე-  
ბი ციდან არ ცვივა. ეს ქუდი ახლავე მისიზ ბუმს მიეცით.  
როცა მე ხმელეთის დაზვერვით ვარ დაკავებული, მძიმე  
ნივთებს ის მოათრევს ხოლმე, – ადმირალმა ტელესკოპი  
მოიმარჯვა და თვალზე მიიღო.

– მე რა უნდა დავიხურო? – ჰკითხა პარკის დარაჯმა.

– ზღვაში გადი, მეგობარო, და კეპს ნამდვილად მოგცემენ. თეთრი ქუდია, ბრიტანეთის სამეფო ფლოტის ნიშანი „HMS“ აწერია. მეკობრის ქუდი კი მე თვითონ მჭირდება და ვერაფრით დაგითმობ. ოჰო-ო, მივდივარ ნაოსნობაში... რომ გადავცურო ფართო მისური!

ადმირალი ხმამაღალი სიმღერით გაეცალა იქაურობას.

პარკის დარაჯმა შეშფოთებით მიმოიხედა. რა მოხდებოდა, უცებ ქალაქის მერი რომ გამოჩენილიყო და თავშიშველი ენახა? ვერც კი წარმოიდგენდა, ამას რა მოჰყვებოდა. ნეტავ უკვე ლამე იყოს! ნეტავ ხელიხელჩაკიდებული მოსეირნები სავახშმოდ შინ წავიდნენ. მაშინ თვითონაც შეძლებს, პარკის ჭიშკარი დაკეტოს და სადმე ბნელკუნჭულში დაიძინოს – იქ, სადაც მისი უქუდობა შეუმჩნევლად დარჩება! ნეტავ მზე ჩავიდოდეს!

მზე კი დროს წელავდა. შინ წასვლასაც არავინ აპირებდა. მოსეირნებმა ქაღალდის პარკებიდან ნამცხვრები და ბუტერბროდები ამოაძვრინეს და ნაგავი ისევ ბალაზზე დაყარეს.

– თავი აქაურობის ბატონ-პატრონები ჰგონიათ, – თქვა დარაჯმა, რომელსაც პარკი მართლაც თავის საკუთრებად მიაჩნდა.

პარკში მომსვლელთა ნაკადი არ წყდებოდა. მთავარ ჭიშკარში წყვილ-წყვილად შემოდიოდნენ და ბუშტებს

იორჩევდნენ; მაჯის ბაზრობიდანაც წყვილ-წყვილად გა-  
მოდიოდნენ და ნაყინს ყიდულობდნენ. როცა მზის ჩას-  
ვლისას გრძელ-გრძელი ჩრდილები გაზონებზე გაიჭიმა,  
ისინი ისევ ხელიხელჩაკიდებულები დააბიჯებდნენ.

ამ დროს კიდევ ერთი სილუეტი გამოჩნდა, რომელიც  
პატარა პროცესიას მოუძლოდა – ჭიშკრის სვეტებს გა-  
მოსცდა და ბავშვებითა და სათამაშოებით სავსე ეტლი  
წინ გამოაგორა. ერთ მხარეს გოგონა მოჰყვებოდა კალა-  
თით ხელში, მეორე მხარეს კი – მეზღვაურის ქურთუკში  
გამოწყობილი ბიჭუნა, რომელიც ბადურას მოაკონწია-  
ლებდა.

კალათიცა და ბადურაც თითქოს გრძელზე გრძელი  
გასეირნების წინ საგანგებოდ გაევსოთ. პარკის დარა-  
ჯისთვის კარგად ნაცნობი აღმოჩნდა ის, ვინც საბავშვო  
ეტლს მოაგორებდა წელში გამართული. მაშინვე თვალ-  
ში მოხვდა მისი ვარდისფერი ლოყები, კრიალა ცისფერი  
თვალები და აპრეხილი ცხვირი.

– ოჟ, არა! – ჩაილულლუდა დარაჯმა, – ღვთის გული-  
სათვის, ახლა არა! რატომ გამოვიდა გარეთ მაშინ, როცა  
შინ უნდა მიდიოდეს?

გაზონი გადაკვეთა და ახლად მოსულებს მიუახლოვ-  
და.

– გვიანია, არა? – ჰერთხა მათ მეტისმეტად მეგობრული  
გამომეტყველებით. კუდი რომ ჰქონოდა, მასაც უთუოდ  
გააქიცინებდა.

